თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №11

თბილისი, 8 ნოემბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- ბექა ძამაშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- თაია არაბული – (OSCE/ODIHR).

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- არჩილ გორდულაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 28 ივნისის №1007 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმის – კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომას კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ბექა ძამაშვილი წარუძღვა. მან სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. არჩევნების დღეს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტების გამოძიების თაობაზე;
3. საარჩევნო დავები საერთო სასამართლოებში;
4. მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
5. სხვადასხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა არჩევნების დღეს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტების გამოძიების საკითხს, სიტყვა გადაეცა გენერალური პროკურორის მოადგილეს, ქალბატონ ნათია მერებაშვილს.

ქალბატონმა ნათიამ განაცხადა, რომ პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში დაიწყო გამოძიება 3 სისხლის სამართლის საქმეზე; 2024 წლის 31 ოქტომბერს აჭარის საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებული 164[1] მუხლის პირველი ნაწილით); გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიერ 112-ში გაკეთებული

შეტყობინებები მასზედ, რომ 2024 წლის 26 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნებზე ადგილი ჰქონდა ამომრჩევლების მოსყიდვის ფაქტებს; მიმდინარეობს გამოძიება, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, იკითხებიან მოწმეები, ხოლო ის მოწმეები, რომლებიც უარს აცხადებენ გამომძიებლის წინაშე დაკითხვაზე, იკითხებიან მაგისტრატი მოსამართლის წინაშე.

2024 წლის 6 ნოემბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს წალენჯიხის მესამე საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტზე 164[1] მუხლის პირველი ნაწილით; გამოძიებას საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის 2024 წლის 31 ოქტომბრის წერილი, რომლის მიხედვითაც, წალენჯიხის მესამე საარჩევნო უბანზე საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვას; გამოძიების ფარგლებში ტარდება საგამოძიებო მოქმედებები; ამ ეტაპზე რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 2024 წლის 30 ოქტომბერს დაიწყო გამოძიება საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე 164[3] მუხლით; გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა 2024 წლის 30 ოქტომბერს ცესკო-დან გამოგზავნილი განცხადება, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტის, არჩევნებში მონაწილე ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ გავრცელდა დაუსაბუთებელი ინფორმაცია არჩევნების სავარაუდო გაყალბების შესახებ, რაც წარმოადგენს უსაფუძვლო ბრალდებას, რითაც შეილახა ცესკო-ს რეპუტაცია; ამ განცხადების საფუძველზე მიმდინარეობს გარემოებების შესწავლა; ამავე გამოძიების ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსულ წერილებში მითითებული გარემოებების შესწავლა, რომლებიც სხვადასხვა საკითხს ეხება; საქმე გვაქვს მოცულობით, მასშტაბურ სისხლის სამართლის საქმესთან; სახეზეა ყველა კატეგორიის საჩივარი, რაც შეიძლება ეხებოდეს სავარაუდო გაყალბების ფაქტებს; მიმდინარეობს გარემოებების შესწავლა ამ საჩივრების საფუძველზე; საქმეზე გამოიკითხნენ ცესკო-ს თანამშრომლები; სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან სასამართლოში დაიკითხა სამი პირი, ხოლო ორი პირი – არასამთავრობო ორგანიზაციებიდან; ყოველდღიურ რეჟიმში იზრდება მოწმეთა რიცხვი; ესენი არიან ის მოწმეები, რომლებიც უარს აცხადებენ გამოძიების წინაშე

დაკითხვაზე, შესაბამისად, მათი დაკითხვა მიმდინარეობს სასამართლოში; იგეგმება, რომ დაიკითხოს ყველა ის პოლიტიკოსი თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც საჯარო განცხადება გააკეთა ან სამართალდამცავ ორგანოს მიმართა არჩევნების შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით, და, ასევე, ყველა ის პირი, ვინც ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას ან მტკიცებულებას ამ კუთხით; პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილია სასამართლო განჩინება საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის და, მათ შორის, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების ცესკო-დან გამოთხოვასთან დაკავშირებით; ჯერჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ამავე საკითხზე ისაუბრა, ასევე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ.

ბატონმა ალექსანდრემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაშია სულ 15 სისხლის სამართლის საქმე სხვადასხვა მუხლით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (ძალადობა) მუხლით არის დაწყებული გამოძიება 5 საქმეზე; 164[3] (არჩევნების გაყალბება) მუხლით არის დაწყებული გამოძიება ერთ საქმეზე, რომელიც შეეხება მარნეულში ბიულეტენების ყუთში ჩაყრის ფაქტს – ამ საქმეზე დაკავებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და საკრებულოს წევრი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“, მათ ბრალი აქვთ წაყენებული; სასამართლომ იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების საკითხზე და ამჟამად პატიმრობა აქვთ შეფარდებული; ერთი საქმე აღძრულია 187-ე მუხლის (ქონების დაზიანება) პირველი ნაწილით, კერძოდ, ბაღდათის რაიონში ამომრჩეველი, რომელსაც უარი უთხრეს ხმის მიცემაზე იმის გამო, რომ მას თან არ ჰქონდა პირადობის მოწმობა, გახდა აგრესიული და დააზიანა ვერიფიკაციის აპარატები (დაახლოებით, 5 000 ლარზე მეტი ზიანი მიადგა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას) – აღნიშნულ ფაქტზე დაკავებული პირი შესახლებულია დროებითი მოთავსების იზოლატორში და უახლოეს დღეებში გადაწყდება მისი აღკვეთის ღონისძიების საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაშია კიდევ ერთი საქმე, ესაა თვითმკვლელობამდე მიყვანა; აღნიშნული ფაქტი უკავშირდება ფოთში ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგისტრატორის გარდაცვალებას – ადამიანი გარდაიცვალა არჩევნების

მსვლელობისას და გამოძიება დაწყებულია თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, თუმცა, ამ ეტაპზე რაიმე დანაშაულებრივი ფაქტი კონკრეტული პირის მხრიდან არ გამოკვეთილა; მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები; დანიშნულია ექსპერტიზა; ამას გარდა, კიდევ 7 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული 162[1] მუხლით, რომელიც გულისხმობს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანთან ან მის მიმდებარედ ძალადობის ფაქტებს – თითოეულ საქმეზე პოლიცია პროკურატურის ზედამხედველობით ახორციელებს შესაბამის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, რაც დაკავშირებულია კონკრეტული პირების გამოკითხვასთან, ხოლო სადაც ძალადობის ფაქტი ფიგურირებდა, დანიშნულია სამედიცინო ექსპერტიზები (იმ შემთხვევებში, როდესაც თანხმობას ჰქონდა ადგილი პოტენციური დაზარალებულებისგან); ამას გარდა, მიმდინარეობს სხვადასხვა დოკუმენტაციის გამოთხოვა, კამერების ჩანაწერების მოძიება, ასეთი არსებობის შემთხვევაში, და სხვა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები; საერთო ჯამში, თხუთმეტივე საქმეზე აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

არჩევნების დღეს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტების გამოძიების საკითხთან დაკავშირებით სიტყვა, ასევე, გადაეცა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველ მოადგილეს, ბატონ გიორგი კვარაცხელიას.

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში 2024 წლის 26 ოქტომბერს ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით; საგამოძიებო სამსახურში შინაგან საქმეთა სამინისტროდან და არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიაომბუდსმენიდან“ სულ შემოვიდა 14 შეტყობინება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჟურნალისტებთან დაკავშირებულ 50 ინციდენტს; აღნიშნული ფაქტებიდან 28 ინციდენტთან მიმართებით საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებმა გამოკითხვის მიზნით მყისიერად დაიბარეს ჟურნალისტები და ოპერატორები, რომლებიც დღემდე არ ცხადდებიან საგამოძიებო ორგანოში და არც სურვილი გამოუთქვამთ, რომ სასამართლოში გამოიკითხონ. რაც შეეხება 22 ინციდენტს, შედგა 22 პირის გამოკითხვა, აქედან 19 ჟურნალისტისა და 3 ოპერატორის, რომელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 13 შემთხვევაში არ იკვეთება ხელშეშლის ფაქტები, ხოლო 9 შემთხვევაში გამოიკვეთა სავარაუდო ხელშეშლის ფაქტები; საგამოძიებო სამსახური

ინტენსიურად ატარებს გამოძიებას, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები და ამ ეტაპზე რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ქალბატონ ნათიას, ბატონ ალექსანდრესა და ბატონ გიორგის სთხოვა, წერილობით მიაწოდონ უწყებათაშორის კომისიას ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით ბოლო მომენტში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც უწყებათაშორის კომისიას, საქმიანობის დასრულებიდან გამომდინარე, წარმოსადგენი ექნება საბოლოო ანგარიში.

ბატონმა ბექამ კომისიის მდივანს, ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს, სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უწყებათაშორისი კომისიის სახელით გაგზავნილ წერილთან დაკავშირებით. რომელიც ეხებოდა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით 2024 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ბრიფინგზე არჩევნების პროცესთან მიმართებით გაკეთებულ განცხადებას. კერძოდ, „...ეს იყო ტოტალური გაყალბება, ტოტალური წართმევა თქვენი ხმების, გამოყენება ყველა იმ ხერხების, რაც გვინახავს სხვადასხვა ქვეყნებში თუ ამ ქვეყანაში, რაც შეიძლება გამოიყენო, რომ გააყალბო არჩევნები, პლუს დღევანდელი ტექნოლოგიების გამოყენება იმ დონეზე, რომ ტექნოლოგია გამოყენებულ იქნა იმისთვის, რომ გაეთეთრებინა გაყალბება. ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა. ჩვენ ვიყავით მოწმე და მსხვერპლი რეალურად რუსული სპეცოპერაციის, შეიძლება ითქვას...“.

ქალბატონმა მანანამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ, კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი განმარტებების გასაკეთებლად დასწრებოდა კომისიის სხდომას, მომზადდა წერილი და გაიგზავნა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში; შედგა კომუნიკაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და როგორც მან განაცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან წარმომადგენელი კომისიის სხდომას არ დაესწრებოდა. ამასთან, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი პასუხი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან არ შემოსულა. ქალბატონმა მანანამ ისაუბრა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან წინა მიმოწერების თაობაზეც.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდგომ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა საერთო სასამართლოებში მიმდინარე საარჩევნო დავებს, სიტყვა გადაეცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს, ბატონ გიორგი სანტურიანს.

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ საარჩევნო დავების წარმოება, ფაქტობრივად, სრულად დასრულდა როგორც საარჩევნო ადმინისტრაციაში, ისე საერთო სასამართლოებში; მთლიანობაში, ჯამურად წარმოდგენილი იყო 1 201 საჩივარი; აქედან 537 საჩივარი შეეხებოდა შედეგების ბათილობა/გადათვლას, 466 – დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, მოთხოვნის გარეშე იყო 47, ხოლო გარკვეული ქმედებისა თუ, ზოგადად, რეაგირების მოთხოვნას შეეხებოდა – 151; ზემოაღნიშნული საჩივრებიდან დაკმაყოფილდა ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 167, არ დაკმაყოფილდა 914, ხოლო განუხილველი დარჩა 107; დისციპლინური პასუხისმგებლობა საუბნო საარჩევნო კომისიაში დაეკისრა 290 პირს, ხოლო რაც შეეხება გადათვლებს, 427 უბნის შედეგი იქნა გადათვლილი საკანონმდებლო სავალდებულო საფუძვლებიდან გამომდინარე; მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ გადათვლის პროცესმა შედეგები არსებითად ვერ შეცვალა, რაც, ერთი მხრივ, ამაღლებს გამჭვირვალობას პროცესთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, ადასტურებს იმას, რომ კენჭისყრის პროცედურები წარიმართა იმგვარად, რომ შედეგებთან დაკავშირებითაც რაიმე არსებითი დარღვევა არ ყოფილა.

სასამართლოში წარმართული საქმეების შესახებ ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ რიგი საქმეები შემდგომ გაერთიანდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ პირველ ინსტანციაში კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით სულ 66 საარჩევნო დავა განიხილებოდა; შემდგომში ამათგან უმეტესობამ გადაინაცვლა სააპელაციო სასამართლოში და, საბოლოოდ, საქმეების განხილვის შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული არცერთი შედეგი და არცერთი შემაჯამებელი ოქმი არ გაბათილებულა; ის ერთი გადაწყვეტილებაც (თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს შემთხვევა) სააპელაციო სასამართლოს მიერ იქნა გაუქმებული და, შესაბამისად, როგორც თეთრიწყაროს, ისე წალკის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული განკარგულებები და შესაბამისი საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები კანონიერ ძალაშია შესული.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ იმ ინფორმაციაზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა „ნოდარ მელაძის შაბათში“ გასულ სიუჟეტს – „ქართული ოცნების“ ქოლცენტრებს,

სიტყვა გადაეცა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელს, ბატონ არჩილ გორდულაძეს.

როგორც ბატონმა არჩილმა განაცხადა, კანონმდებლობის შესაბამისად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში პირდაპირ არის განსაზღვრული პოლიტიკური პარტიების როლი. პარტიის მთავარი როლია, მოახდინოს ამომრჩევლის ნების ფორმირება, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა კონსტიტუციურმა სტრუქტურამ/დანაყოფმა; ასევე, შეგვიძლია, ვნახოთ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს თუ არა უფლებამოსილებას პოლიტიკურ პარტიას, დაამუშაოს პარტიის წევრების თუ მასთან მუდმივად დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემები და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, როგორიც არის, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიასთან კუთვნილება, შესაძლებელია, დამუშავდეს პოლიტიკური პარტიის მიერ; ეს ეხება როგორც მის თანამშრომლებს, ისე მასთან მუდმივად კავშირში მყოფ პირებს, ხოლო მუდმივად კავშირში მყოფი პირები, რა თქმა უნდა, არიან ამომრჩევლები, რომლებიც საკუთარი ნებით აფიქსირებენ თავიანთ მხარდაჭერას და თვითონვე გამოხატავენ მხარდამჭერებად დაფიქსირების თანხმობას და სურვილს. ამის შემდეგ უკვე პარტია თავისი მხარდამჭერების მობილიზებას ახდენს, რადგან მისი კანონიერი ინტერესია, რაც შეიძლება მეტი მხარდაჭერა ჰქონდეს და, შესაბამისად, უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი წარმომადგენლობით ორგანოში. ბატონი არჩილის თქმით, თავადაც მონაწილეობდა ამ პროცესში და თავისი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს შეახსენებდა, რომ მნიშვნელოვანი იყო, მისულიყვნენ არჩევნებზე საკუთარი არჩევანის დასაფიქსირებლად. მან ისაუბრა კარგი საერთაშორისო პრაქტიკის თაობაზეც და აღნიშნა, რომ, როგორც NDI-ს („ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“), ისე IRI-ს („საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“) სახელმძღვანელოებში პირდაპირაა განსაზღვრული, რომ კარგ პრაქტიკად ითვლება და მოწოდებაცაა პოლიტიკური პარტიებისადმი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინონ ამომრჩეველთა მობილიზება; როდესაც ზემოაღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლებსა და თანამშრომლებს უტარებდნენ ტრენინგებს, ცალსახად ეუბნებოდნენ მათ, რომ, სულ მცირე, 7-ჯერ უნდა მივიდნენ თითოეულ ამომრჩეველთან ე.წ. კარდაკარის

მეთოდით, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ამომრჩევლების მონაცემების, მათ შორის, მისამართის, ტელეფონის ნომრის, სახელისა და გვარის, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის ჩანიშვნა, რომ აუცილებლად უნდა დარიგდეს ე.წ. ბუკლეტები და რომ კამპანიის წარმოება აუცილებელია რამდენიმეჯერ წინასაარჩევნო პერიოდში, რომ აუცილებელია ამ ადამიანებთან დაკავშირება, რათა პარტიასა და ამომრჩევლებს შორის უზრუნველყოფილი იყოს კავშირი. ამას გარდა, ბატონმა არჩილმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რამდენად გამოიყენება პრაქტიკაში ზემოაღნიშნული ორგანიზაციების სახელმძღვანელოებში ასახული გაიდლაინები და განაცხადა, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნების დროს, ქალბატონ კამალა ჰარისს თავის სოციალურ ქსელში („X") გამოქვეყნებული ჰქონდა პოსტი, რომლითაც იგი აჟღერებდა შემდეგს: *„დააკაკუნეთ ყველა კარზე; დაურეკეთ ამომრჩევლებს; მიაწვდინეთ ხმა თქვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს".* ბატონი არჩილის თქმით, ქალბატონმა კამალა ჰარისმა პირდაპირ ეთერში, ასევე, დაურეკა თავის ერთ-ერთ ამომრჩეველს და ჰკითხა, თუ ვის დაუჭირა მან მხარი, ხოლო როდესაც გაიგო, რომ მისი მხარდამჭერი იყო, მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა მას. შესაბამისად, ამომრჩევლებთან სატელეფონო კომუნიკაციის ამგვარი პრაქტიკა არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით პოლიტიკური პარტიებისთვის გარანტირებული უფლებამოსილებაა, არამედ ეს ყველაფერი გაწერილია იმ გაიდლაინებში, რომლითაც მოქმედებენ IRI-სა და NDI-ს წარმომადგენლები, როდესაც ატარებენ შესაბამის ტრენინგებს. ამგვარადვე მოქმედებენ პოლიტიკური პარტიები თუ კანდიდატები სხვადასხვა ქვეყანაში; ეს ყველაფერი არანაირ სამართალდარღვევას არ წარმოადგენს, თითოეული ქმედება კანონიერია და ამგვარადვე მოქმედებენ იმ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც, რომლებიც ახლა ცდილობენ, ამ ფაქტისგან წარმოაჩინონ რაიმე დარღვევა. საბოლოოდ, ბატონმა არჩილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მიერ მსგავსი აქტიურობა და განაცხადა, რომ ყოველი არჩევნების დროს მათი პარტია ცდილობდა, მაქსიმალურად მოეხდინა ამომრჩევლების მობილიზება ყველანაირი კანონიერი გზით.

ამას გარდა, ბატონმა არჩილმა აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მიერ მოძიებულ იქნა არაერთი იმგვარი ფაქტი, როდესაც სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია მიზანმიმართულად „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ამომრჩევლების ნების საწინააღმდეგოდ იყენებდნენ მათ

პერსონალურ მონაცემებს; მეტიც, მათ არეგისტრირებდნენ სხვადასხვა ოლქში სხვადასხვა უბანზე კომისიის წევრებად მაშინ, როდესაც, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ადამიანი, რომელიც არის რეგისტრირებული უბანზე კომისიის წევრად, თავისი რეგისტრაციის მიხედვით არსებულ საარჩევნო უბანზე ვერ აძლევს ხმას და ის ამას აკეთებს ე.წ. სპეციალური სიით იმ უბანზე, რომლის კომისიის წევრიცაა თვითონ. შესაბამისად, ამ პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, მისულიყვნენ თავიანთ საარჩევნო უბნებზე; ხოლო ადგილზე მისვლისას აღმოაჩინეს, რომ სპეციალურ სიაში არიან, რის გამოც მოუწიათ სხვადასხვა ოლქში სხვადასხვა განსხვავებულ უბანზე მოსულიყვნენ თავიანთი ხმების დასაფიქსირებლად. უნდა ითქვას, რომ ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანებმა ფიზიკურად ვერ შეძლეს არჩევანის გაკეთება; ასევე, არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ამომრჩეველს დაუკავშირდა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, შესთავაზა მას კომისიის წევრობა, რაზეც უარი განუცხადა მას ამომრჩეველმა, თუმცა, ამ უკანასკნელმა 26 ოქტომბერს აღმოაჩინა, რომ მაინც კომისიის წევრი ყოფილა. ბატონი არჩილის თქმით, დაფიქსირდა ასეულობით ამგვარი შემთხვევა და მათგან 102 საკითხთან დაკავშირებით მათმა პარტიამ უკვე მიმართა გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყების თხოვნით, ხოლო საერთო ჯამში, 420 ამგვარ საკითხს თვითონ პარტია არკვევს, მიმდინარეობს მტკიცებულებების მოძიება და მათი დადასტურების შემდგომ აუცილებლად მიმართავს საგამოძიებო ორგანოს, რათა დადასტურდეს ის სავარაუდო ნიშნები დანაშაულისა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა).

ამის შემდეგ ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ თავმჯდომარემ, ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ, შეკითხვა დაუსვა ცესკო-ს წარმომადგენელს მელანგამოჟონილი ბიულეტენების შესახებ საჩივრებთან დაკავშირებით. ბატონმა გიორგი სანტურიანმა პასუხად აღნიშნა, რომ იმ სადამკვირვებლო ორგანიზაციას, რომელმაც დააყენა 2 263 საარჩევნო უბნის შედეგების გაბათილების თაობაზე საჩივრები, მელნის გაჟონვასთან დაკავშირებით საჩივრები არ წარმოუდგენია; ამ საკითხზე რამდენიმე საჩივარი იყო საოლქო საარჩევნო კომისიაში და მათი ჯამური რაოდენობა კენჭისყრის დღეს, მეორე და მესამე დღეს იყო მხოლოდ 7, რამდენიმე დღის შემდეგ კი, მსგავსი საჩივრები უკვე შემოვიდა მასობრივად;

და ეს საჩივრები არ ეხებოდა კონკრეტულ უბანს – უბრალოდ, ზოგადად იყო დაფიქსირებული, რომ ადგილი ჰქონდა ფარულობის პრინციპის დარღვევას; შესაბამისად. ამგვარი საჩივრების რაოდენობა იყო ძალიან მცირე და იმ ორგანიზაციას, რომელიც ამ საკითხს ასაჩივრებდა, არც საარჩევნო უბნებზე და არც საოლქო საარჩევნო კომისიაში თავდაპირველად საჩივარი არ წარმოუდგენია. ბატონმა გიორგიმ დამატებით აღნიშნა, რომ ბიულეტენის მეორე მხარეს გაფერადების კვალი თავისთავად არ ნიშნავდა იმას, რომ ფარულობა იყო დარღვეული, რადგან ფარულობის დარღვევას სხვა დამატებითი გარემოებებიც სჭირდება; გასათვალისწინებელია ის, რომ ბიულეტენი იყო გადმობრუნებული და მონიშვნა რომც გამოჩენილიყო მეორე მხარეს, იმის შემჩნევის საშუალება არ არსებობდა, თუ რომელი სუბიექტი იყო მონიშნული და, დამატებით, ჩარჩო კონვერტის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების მიერ იმის განსაზღვრა, რომელ სუბიექტს მისცა ამომრჩეველმა ხმა. აღსანიშნავია ისიც, რომ, ჩატარებული ექსპერიმენტიდან გამომდინარე, თეთრიწყაროს სასამართლოსაც არ უთქვამს ის, რომ ჩანდა, თუ რომელ სუბიექტს მისცა ამომრჩეველმა ხმა.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე) ისაუბრა ზოგიერთ მედიასაშუალებაში გავრცელებული სხვადასხვა დეზინფორმაციის თაობაზე; კენჭისყრის დღის დაკვირვების შესახებ და განაცხადა, რომ მის ორგანიზაციას არცერთ უბანზე არ დაუფიქსირებია ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. ბატონმა დანიელმა სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც გამოთქვა მოსაზრება და ისაუბრა ოპოზიციური პარტიებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებზე არდასწრების ფაქტზე.

ბატონ დანიელს გამოეხმაურა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კომისიის ყოველ სხდომაზე კეთდება მოწოდება სხვადასხვა სუბიექტისადმი, დაესწრონ კომისიის სხდომებს, თუმცა, მათი მხრიდან, სამწუხაროდ, არ ხდება კომისიის პლატფორმის გამოყენება, რომ, თუნდაც, კითხვები დაუსვან მათ, ვის მიმართაც აქვთ გარკვეული კითხვები და შემდგომ დისკუსიის რეჟიმში განიხილონ სხვადასხვა საკითხი. მისი თქმით, უწყებათაშორისი კომისია საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებსაც ყოველთვის მოუწოდებს, რომ საკუთარ ანგარიშებშიც ასახონ სხდომებზე დაუსწრებლობის

ზემოხსენებული ფაქტები; ამასთან, როდესაც ტელევიზიით კეთდება განცხადებები სხვადასხვა დარღვევასთან, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და პროცესებში საჯარო მოხელეების გარკვეული ფორმით ჩართულობასთან დაკავშირებით, და შემდეგ არცერთი შესაბამისი სუბიექტი არ მოდის სხდომებზე არათუ მტკიცებულებებით, არამედ, უბრალოდ, დამატებითი განმარტების გასაკეთებლადაც კი, ეს, რა თქმა უნდა, ეჭვქვეშ აყენებს მათი განცხადებების ავთენტურობას; თუმცა, ეს მათი უფლებაა და კომისიას მხოლოდ ხელახალი მოწოდების გაკეთება შეუძლია მათდამი, რომ დაესწრონ მომავალ სხდომას.

დასასრულ, ბატონმა ბექამ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ძამაშვილი

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი